INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (http://saagento.security.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 13 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

შსს მომსახურების სააგენტო

http://saagento.security.gov.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
9,52%
20,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
12,50%
19,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
34,25%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
3,45%
16,00%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
18,18%
13,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
38,46%
45,30%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%

შსს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია შსს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- შსს მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორს. აგრეთვე, არ მოიძიება დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- შსს მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკურატორო სტრუქტურული ერთეულების აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მოადგილეებს. აგრეთვე არ მოიძიება დირექტორის მოადგილეთა არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

2. ვებ-გვერდს არ გააჩნია ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა.

3. არ მოიძიება ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების გრაფიკი, შსს მომსახურების სააგენტოს საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართები, აგრეთვე, სააგენტოს ფაქსისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომრები. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული განყოფილება „კონტაქტი“ ან „დაგვიკავშირდით“ სადაც განთავსებული იქნებოდა შსს მომსახურების სააგენტოს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა.

4. არ მოიძიება სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია და მისი კომპეტენციის, საქმიანობის საგნის, ფუნქციების, მიზნებისა და ამოცანების დეტალური აღწერა:

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

4. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია შსს მომსახურების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სააგენტოს სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა (მოცემულია მხოლოდ ტერიტორიალური პრინციპით დაყოფილი სტრუქტურული ერთეულების მწირი ჩამონათვალი);

- სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს"

ტერიტორიული ერთეულები

1. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ქ. თბილისის სამმართველო – რუსთავი - წითელი ხიდის გზატკეცილი 21 კმ.

2. სსიპ `საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" აღმოსავლეთ სამმართველოს თელავის განყოფილება - ქ. თელავი, ალაზნის გამზირი.

3. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" აღმოსავლეთ სამმართველოს გორის განყოფილება - ქ. გორი სუხუშვილი ქ. № 40.

4. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" აღმოსავლეთ სამმართველოს ახალციხის განყოფილება – ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი № 2.

5. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" აღმოსავლეთ სამმართველოს ქურთას განყოფილება – სოფელი ხეითი.

6. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ქუთაისის განყოფილება – ქ. ქუთაისი სულხან-საბას გამზირი № 19 ბ.

7. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ფოთის განყოფილება – ქ. ფოთი ჭავჭავაძის №146.

8. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ზუგდიდის განყოფილება – პარიზის კომუნის ქ. № 7.

9. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ბათუმის განყოფილება – ქ. ბათუმი სულხან საბა ქ. № 2.

10. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ოზურგეთის განყოფილება – ოზურგეთის რაიონი სოფელი ოზურგეთი.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა სიახლეები, სტატისტიკა, პროგრამები, პროექტები, ტენდერები, ფინანსური მაჩვენებლები, საქმიანობის ანგარიშები და ა.შ.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. არ მოიძიება შსს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ, დირექტორისა და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები; ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ამა თუ იმ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ვებ-გვერდზე არ მოოიპოვება სააგენტოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ზოგადი მიმოხილვებიც.

9. არ მოიძიება შსს მომსახურების სააგენტოს მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და შესაბამისი პროგნოზები, აგრეთვე მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს მიერ მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნებოდა პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება არანაირი ინფორმაცია სტაჟირებების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსებისის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია სააგენტოს მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტიზების/შემოწმებების შესახებ.

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია იმ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს შსს მომსახურების სააგენტო. აგრეთვე, არარსებობს განცალკევებული (ქვე-) განყოფილება „პროგრამები/პროექტები“.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. შეიძლება ითქვას რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა - მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად ,,კანონმდებლობა“, თუმცა მასში განთავსებული ხუთი სამართლებრივი აქტიდან, ხუთივე მოცემულია ძველი მდგომარეობით. ქვე-განყოფილებაში აგრეთვე უნდა მოიძიებოდეს შსს მომსახურების სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და სააგენტოს დირექტორის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აგრეთვე სასურველია მოიძებოდეს შსს მომსახურების სააგენტოს დებულება და შინაგანაწესი შესაბამის განცალკევებულ განყოფილებებში.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

15. ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია შსს მომსახურების სააგენტოს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია,საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შსს მომსახურების სააგენტოს იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სანებართვო და მარეგისტრირებელ ქმედებათა განხორციელებაზე, აგრეთვე ზემოთხსენებულ პირთა საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები).

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შსს მომსახურების სააგენტოს სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი, აგრეთვე მოცემულია შსს მომსახურების სააგენტოს ანგარიშის კოდები თუმცა არ არის მოცემული თვით სააგენტოს ანგარიშის ნომერი:



იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა

„იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად აისახება:
ა) იარაღის რეგისტრაციის შედეგად ასახული მონაცემები;
ბ) ინფორმაცია რეგისტრირებული იარაღი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.
გ) «ა»და «ბ» ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის რეგისტრაციის არ არსებობის შესახებ.

საფასური შეადგენს 20 ლარს და გადაიხდება მომსახურების სააგენტოს ანგარიშზე 051 ბანკის კოდზე.

სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის მისაღებად დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა გარდა ძირითადი თანხისა დამატებით უნდა წარმოადგინოს დაჩქარებული მომსახურებისათვის კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
არსებობს დაჩქარებული მომსახურეობის სამი სახე:

1. იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა 3 სამუშაო დღის განმავლობაში – 15 ლარი, გადაიხდება მომსახურების სააგენტოს ანგარიშზე I 28 კოდზე.
2. იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა 1 სამუშაო დღის განმავლობაში – 40 ლარი, გადაიხდება მომსახურების სააგენტოს ანგარიშზე I 29 კოდზე.
3. იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა 3 სამუშაო საათის განმავლობაში – 80 ლარი, გადაიხდება მომსახურების სააგენტოს ანგარიშზე I30 კოდზე.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შსს მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. არ მოიძიება შესაბამისი (ქვე-)განყოფილებაც.

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა შსს მომსახურების სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე შსს მომსახურების სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა შსს მომსახურების სააგენტოში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი შსს მომსახურების სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება შსს მომსახურების სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება შსს მომსახურების სააგენტოს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/შსს მომსახურების სააგენტოს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება შსს მომსახურების სააგენტოსსრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ შსს მომსახურების სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- შსს მომსახურების სააგენტოს სრული სისტემის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და თითოეულის საბაზრო ღირებულება.

➢ **სტილისტურ ტერმინოლოგიური შეცდომები:**

22. ვებ-გვერდზე გაპარულია სტილისტური და ტერმინოლოგიურ შეცდომები:

- წერია ნომრის დაბრონვა (უნდა ეწეროს ნომრის დაჯავშნა)

- ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში წერია: bilets

- ვებ-გვერდზე წერია: **წარმოსადგები დოკუმენტები**, უნდა ეწეროს წარმოსადგენი დოკუმენტები:

იარაღის ჩამოწერისას წარმოსადგები

წარმოსადგები დოკუმენტები

1) განცხადება
2) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
3) საკუთრებაში არსებული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა
4) ჩამოსაწერი იარაღი;
5)მომსახურების საფასურის (20 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიტანება N025 ბანკის კოდზე

იარაღის ჩამოიწერება 8 სამუშაო დღის განმავლობაში
პირის მომართვისას მისი მოთხოვნის შესაბამისად განისაზღვრება მომსახურების გაწევის ვადა, რის შესაბამისად იგი იხდის შესაბამის საფასურს. კერძოდ თუ იარაღის ჩამოწერა ხორციელდება 8 სამუშაო დღის

- ვებ-გვერდის ოფიციალურობის აღმნიშვნელ ინგლისურ წარწერაში გაპარულია შეცდომა: Agency-ის ნაცვლად წერია Agensy

*2009*შსს მომსახურების სააგენტო*LEPL SERVICE AGENSY OF MIA OF GEORGIA*

ზოგადად უნდა აღინიშნოს რომ, ვებ-გვერდი ტოვებს არა უშუალოდ შსს-ის მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის, არამედ დაწესებულების მიერ შემოთვაზებული მომსახურებების შესახებ შექმნილი ვებ-გვერდის შთაბეჭდილებას.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
44,44%
2. ძიება
0,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
25,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
50,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
8,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდზე არ არის, მთავარ გვერდზე გადასასვლელი და საკონტაქტო ინფორმაცია, მაგალითად, მომხმარებელი მიაი საშუალებით ვერ მოახერხებს მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის გარკვევას ან საკონტაქტო ინფორმაციის მიღებას.

აუცილებელია მაქსიმალური დაკვირვება, რომ ვებ-გვერდზე აღმოვაჩინოთ **ცხელი ხაზის ნომერი,** რთული მოსაძიებელია ინფორმაცია ტერიტორიული ერთეულების შესახებ, (განთავსებულია მენიუს პუნქტ „ჩვენს შესახებ“-ში) აუცილებელი ასეთი ინფორმაციის მენიუს პუნქტებში გათვალისწინება:

- **ძიება**

მარტივი ძიების ფუნქცია არ მუშაობს.

იმ შემთხვევაში, თუ ვებ-გვერდზე სახეზეა ისეთი ფუნქციები, რომლებიც არ არის ბოლომდე გამართული, აუცილებელია აღინიშნოს შესაბამისი განმარტებით, რომ კონკრეტული ფუნქციები მზადების პროცესშია, ან უნდა მოხდეს მათი დროებით გაუქმება:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის პირველ საპრეზენტაციო გვერდზე საკმაოდ რთულია სიმბოლიკაზე ტექსტის წაკითხვა, შესაბამისად, პირველ ჯერზე, მომხმარებლისთვის გაურკვეველია ამ საიტის დანიშნულება:

თვალისთვის დამღლელი და გამაღიზიანებელია ვებ-გვერდზე საკმაოდ გრძელი ლურჯი ბმულების წაკითხვა. სასურველია, ასეთი „ლინკების“ გამუქება, რათა ფერთა გამა იყოს უფრო რადიკალური და თვალისთვის არ იყოს გამაღიზიანებელი:

სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს"

ტერიტორიული ერთეულები

1. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ქ. თბილისის სამმართველო – რუსთავი - წითელი ხიდის გზატკეცილი 21 კმ.

2. სსიპ `საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" აღმოსავლეთ სამმართველოს თელავის განყოფილება - ქ. თელავი, ალაზნის გამზირი.

3. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" აღმოსავლეთ სამმართველოს გორის განყოფილება - ქ. გორი სუხუშვილი ქ. № 40.

4. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" აღმოსავლეთ სამმართველოს ახალციხის განყოფილება – ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი № 2.

5. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" აღმოსავლეთ სამმართველოს ქურთას განყოფილება – სოფელი ხეითი.

6. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ქუთაისის განყოფილება – ქ. ქუთაისი სულხან-საბას გამზირი № 19 ბ.

7. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ფოთის განყოფილება – ქ. ფოთი ჭავჭავაძის №146.

8. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ზუგდიდის განყოფილება – პარიზის კომუნის ქ. № 7.

9. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" დასავლეთ სამმართველოს ბათუმის განყოფილება – ქ. ბათუმი სულხან საბა ქ. № 2.

10. სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს"

სააგენტოს ვებ-გვერდის მისამართის (saagento.**security**.gov.ge) აბრევიატურა შინაარსობრივად არ შეესაბამება მომსახურების სააგენტოს არსებულ სახელწოდებას SERVICE AGENCY OF MIA. ამავე დროს სააგენტოს ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებს www აღნიშვნით:

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ბრაუზერ Opera-ში პირველ გვერდზე ღილაკზე დაჭერის შედეგად არანაირი მოქმედება არ ხდება, ეს გამოწვეულია იმით, რომ ფლეშ მენიუს Javascript-ით არ აქვს გაკეთებული ავტომატური აქტივაცია. ბრაუზერ Opera-ში მარცხენა მენიუს ფონტი არ გავს Sylfaen-ს, ასევეა ძირითადი მენიუს ბლოკებიც.

საჭიროა ასეთ დეტალებში CSS-ით მიეთითოს კონკრეტული ფონტი - **Sylfaen**



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე მოიპოვება robots.txt სადაც ასევე ჩაწერილია ადმინისტრაციის მისამართი: http://saagento.security.gov.ge/robots.txt

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის გვერდის მოპოვების შემდეგ იზრდება საიტზე უკანონოდ შესვლის პროცენტი. Robots.txt-ში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავწეროთ ადმინისტრაციის მისამართი:



ზოგადი შეფასება:

1. შსს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე შესაძლებელია განთავსდეს ელექტრონული სერვისები, რომლებიც გაუადვილებს მომხმარებელს სახლიდან გაუსვლელად ინფორმაციის მიღებას, გადაწყვეტილებების მიღებასა და ელექტრონული მომსახურების პროცესში ჩართვას.
2. ვებ-გვერდზე ასევე შესაძლებელია მომსახურების საფასურის გადახდის მოდულის ინტეგრაცია.
3. ამჟამად ვებ-გვერდს იყენებს დაახლოვებით 1300 უნიკალური მომხმარებელი, ზოგადი შეფასებიდან გამომდინარე საიტი არ არის იმ დონეზე გამართული, რომ მომხმარებლები სრულად დააკმაყოფილოს:
   - ძიება უფუნქციოა;
   - ელ-სერვისები მწირედ არის წარმოდგენილი;
   - დაშვებულია ტექნიკური შეცდომები;
   - საიტს არ აქვს SEO (Search Engine Optimization) რაც ართულებს მის ძიებას სხვადასხვა საძიებო სისტემებში;
   - ვებ-გვერდი არ პასუხობს WEB 2.0 სტანდარტებს.